

## ტრენინგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დიპლომის დანართის შესახებ

### სარჩევი

1. განმარტებები დიპლომის დანართის შევსების შესახებ .....	1
2. ძირითადი პრინციპები და ზოგადი სახელმძღვანელო დიპლომის დანართის გამცემთათვის .....	5
3. დიპლომის დანართის ნიმუში .....	8
4. ლექსიკონი .....	13

**დიპლომის დანართი** არის საერთაშორისო დოკუმენტი, შემუშავებული ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიერ. საერთაშორისო დონეზე ის ხელს უწყობს კვალიფიკაციების სწორად გაგებას და შესაბამისად, ხელს უწყობს კვალიფიკაციების აღიარებას. მისი გამოყენების ვალდებულება მოცემულია ევროსაბჭოს 1997 წლის „ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის კონვენციაში,, მუხლი IX.3.

### 1. განმარტებები დიპლომის დანართის შევსების შესახებ

- ა) წინამდებარე განმარტებების გათვალისწინება აუცილებელია დიპლომის დანართის როგორც ქართული ასევე ინგლისური ფორმის შესავსებად.
- ბ) უნდა შეივსოს ყველა პუნქტი. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია არ მოიპოვება უნდა მიეთითოს „შესაბამისი ინფორმაცია არ არსებობს“
- გ) ქვემოთ მოყვანილი ნუმერაცია შეესაბამება დიპლომის დანართის ნუმერაციას

#### 1 ინფორმაცია კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ

- 1.1 გვარი
- 1.2 ყველა ოფიციალური სახელი
- 1.3 მიუთითეთ დაბადების დღე, თვე და წელი
- 1.4 ამ პუნქტით უნდა მოხდეს პირის იდენტიფიკაცია, როგორც სტუდენტისა, რომელიც დაშვებული იყო დიპლომის დანართში მითითებულ კონკრეტულ პროგრამაზე. მიუთითეთ პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომერი.

#### 2 ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ

- 2.1 აღნიშნული პუნქტი მოითხოვს ორი სახის ინფორმაციას კერძოდ: კვალიფიკაციის სრულ დასახელება და მინიჭებულ წოდებას (თუ ასეთი არსებობს)

კვალიფიკაციის სრული დასახელება: მაგლითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი.

დანართის ინგლისურ ტექსტში კვალიფიკაციის სახელწოდების თარგმანთან ერთად უნდა მიეთითოს კვალიფიკაციის დასახელება ორიგინალის ენაზეც, ლათინური ასოებით და ისე,

როგორც ეს მიღებულია საქართველოში. მაგალითად, Bachelor of Arts / Humanitarul mecnierebaTa Bakalavri ან Master of Science / Sabunebismetkvelo mecnierebata Magistri .

თუ საქართველოს კანონმდებლობით კვალიფიკაციასთან ერთად შესაძლებელი იქნება წოდების მინიჭებაც, ასეთ შემთხვევაში უნდა მიეთითოს წოდება და შესაბამისი კანონმდებლობაც<sup>1</sup>.

თუ კვალიფიკაცია არის ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ერთობლივი ხარისხი, მაშინ ეს ამ პუნქტში უნდა აღინიშნოს. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი (ერთობლივი ხარისხი); ინგლისურად - Master of Science (Joint degree).

2.2 მიუთითეთ მხოლოდ ის ძირითადი დარგი(დარგები), რომელიც განსაზღვრავს მთავარ საგნებს კვალიფიკაციის მისაღებად. მაგალითად, პოლიტიკა და ისტორია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება, მოლეკულური ბიოლოგია და ა.შ.

2.3 მიუთითეთ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ინგლისურ დანართში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების ინგლისური თარგმანის გვერდით ლათინური ასოებით მიუთითეთ ქართული სახელწოდება. მაგალითად, Tbilisi State University / Tbilisis Sakhelmtsipho Universitety. ერთობლივი ხარისხის შემთხვევაში, როდესაც კვალიფიკაცია გაცემულია ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნდა მიეთითოს ყველა მათგანი და ამასთან, თუ ეს შესაძლებელია, უნდა აღინიშნოს ის ინსტიტუცია, სადაც განხორციელდა სწავლების ძირითადი ნაწილი (ან კვალიფიკაციის ძირითადი ნაწილი იქნა მიღებული). მიუთითეთ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი სასწავლებლის სტატუსი და აკრედიტაცია. მაგალითად, „[უსდ-ს სახელწოდება] არის, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ 2010 წელს აკრედიტებული, კერძო კოლეჯი, არასაუნივერსიტეტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“.

2.4 ეს პუნქტი შეეხება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებდა სწავლებას. ზოგიერთ შემთხვევაში იგი განსხვავდება კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულებაგან (იხ. 2.3 ზევით). იმ შემთხვევაში თუ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებას აძლევს მეორე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განახორციელოს მისი პროგრამა „ფრანჩაიზის“ ან სხვა ტიპის ვალიდაციის საფუძველზე, მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება და სტატუსი.

თუ ასეთი შემთხვევა არ არსებობს ქართულად მიუთითეთ: „შესაბამისი ინფორმაცია არ არსებობს“, ინგლისურად კი “N/A”.

2.5 მიუთითეთ სწავლების/გამოცდის ენა

### 3 ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ

3.1 მიუთითეთ კვალიფიკაციის დონე და მისი ადგილი ეროვნულ საგანმანათლებლო სტრუქტურაში (რომელიც მოცემული და ახსნილია მერვე პარაგრაფში) და/ან მისი ადგილი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში, რომელიც ასევე მოცემულია

<sup>1</sup> რიგ ქვეყნებში ხდება წოდების მინიჭება. მაგალითად, ინჟინერი. ეს არარელევანტურია საქართველოსათვის. თუმცა შესაძლებელია ეს განხორციელდეს მომავალში.

მერვე პარაგრაფში. მაგალითად, უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ბაკალავრიატი.

3.2 განმარტეთ პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა კვირებში ან წლებში და სასწავლო დატვირთვა, მათ შორის ისეთი ძირითადი ქვეკომპონენტების მითითებით, როგორცაა საწარმოო პრაქტიკა. ბაკალავრიატისათვის მაგალითად, 240 ECTS კრედიტი. 1 აკადემიური წელი ჩვეულებრივ 60 კრედიტი; სემესტრი 30 კრედიტი; 1 კრედიტი=30 საათს.

3.3 ჩამოთვალეთ ან ახსენით ის მოთხოვნები, რომელიც საჭიროა დიპლომის დანართში მითითებული კვალიფიკაციის შესაბამის პროგრამაზე აბიტურიენტის დასაშვებად. ბაკალავრიატისათვის მიუთითეთ საშუალო სკოლის ატესტატი.

#### **4 ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე**

4.1 სწავლის ფორმა უჩვენებს რა სახით იყო მიღებული კვალიფიკაცია, მაგალითად, სწავლა სრული დატვირთვით, სწავლა ნაწილობრივი დატვირთვით, დისტანციური განათლება<sup>2</sup>.

4.2 მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, (თუ შესაძლებელია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სახით). ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ არის ძირითადი და განმსაზღვრელი კვალიფიკაციის აღიარებისათვის. თუ შესაძლებელია მიუთითეთ დეტალები დებულებიდან, რომელიც განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო მინიმალურ სტანდარტებს. მაგალითად, კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ნებისმიერი სავალდებულო კომპონენტები ან სავალდებულო პრაქტიკული ელემენტები, საჭიროა თუ არა ყველა ელემენტის ერთდროული შესრულება, თეზისის/დისერტაციის დებულებები. მოიყვანეთ განსაკუთრებული დეტალები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია კვალიფიკაციის აღწერა.

4.3 მიუთითეთ კვალიფიკაციის ყოველი ინდივიდუალური ელემენტი და მათი წვლილი კვალიფიკაციის განსაზღვრაში. ჩანაწერი ზედმიწევნით სრული უნდა იყოს. მიუთითეთ ყველა სასწავლო კურსი, თეზისის/ნაშრომის და პრაქტიკის ჩათვლით, შესაბამისი შეფასებებითა და მინიჭებული კრედიტებით. ნაშრომის შემთხვევაში მიუთითეთ მოხდა, თუ არა მისი დაცვა. ყველა ეს ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემის(ECTS) ნიშნების ფურცლის სახით. თუ კვალიფიკაცია არის ერთობლივი ხარისხი, მაშინ მიუთითეთ რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშია მიღებული კვალიფიკაციის ესა თუ ის ნაწილი.

4.4 გადმოეცით ინფორმაცია კვალიფიკაციასთან დაკავშირებული შეფასების სისტემისა და გამსვლელი ნიშნების შესახებ. ერთობლივი ხარისხების შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა შეფასების სქემა გამოიყენება აღნიშნულ პუნქტში უნდა მიეთითოს ინფორმაცია ყველა შეფასების სქემის შესახებ, რომელიც შეეხება მოცემულ კვალიფიკაციას და ასევე ნიშნების ტრანსფერი.

4.5. თუ არსებობს, მოიყვანეთ საბოლოო კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია, მაგალითად, დიპლომი წარჩინებით, *Summa Cum Laude* ან საშუალო ნიშანი.

#### **5 ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ**

5.1 მიუთითეთ, იძლევა თუ არა კვალიფიკაცია შემდგომ საფეხურზე დაშვების ან საფეხურის დასრულების უფლებას. აღნიშნეთ ეს კვალიფიკაცია საბოლოოა თუ კვალიფიკაციის იერარქიის მხოლოდ ერთი ნაწილია.

5.2 დეტალურად ახსენით კვალიფიკაციის მფლობელის ნებისმიერი პრაქტიკული

<sup>2</sup> საქართველოში მიღებულია „დღის დასწრებული“ და „დაუსწრებელი“, რაც ზუსტად არ ასახავს full time და part-time study-ს

საქმიანობის უფლება ან პროფესიულ სტატუსთან შესაბამისობა. რა სპეციალური დაშვების უფლებას (თუ ასეთი არსებობს) იძლევა კვალიფიკაცია დასაქმებისა და პროფესიული პრაქტიკის თვალსაზრისით და მიუთითეთ, რომელი კომპეტენტური ორგანო იძლევა მას. მიუთითეთ რომელ „რეგულირებად პროფესიაზე“ აქვს დაშვება ამ კვალიფიკაციას. მაგალითად, უნდა განიმარტოს დიპლომირებული მედიკოსის რეგულირების საკითხი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## **6 დამატებითი ინფორმაცია**

6.1 გადმოეცით ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არაა ზემოთ მოცემული, მაგრამ მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ხასიათის, დონისა და გამოყენების შეფასების მიზნებისათვის. მაგალითად, ის, რომ კვალიფიკაცია მოიცავს სწავლის/მომზადების პერიოდს სხვა სასწავლებელში /კომპანიაში/ქვეყანაში და დაურთეთ შესაბამისი დეტალები იმ სასწავლებლის შესახებ. დამატებითი ინფორმაცია ერთობლივი ხარისხის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ, ის რაც 2.3 პუნქტში არაა მითითებული

6.2 გადმოეცით ინფორმაცია სხვა სასარგებლო წყაროებისა და ლიტერატურის შესახებ, სადაც შეიძლება ცნობების მოპოვება კვალიფიკაციის შესახებ. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის ვებ-გვერდი.

## **7 დანართის სერტიფიცირება**

7.1 დიპლომის დანართის გაცემის თარიღი. სავალდებულო არ არის ის ემთხვეოდეს კვალიფიკაციის მინიჭების თარიღს.

7.2 დიპლომის დანართის გამცემი ოფიციალური პირის/პირების გვარი, სახელი და ხელმოწერა.

7.3 ამ პირის/პირების ოფიციალური თანამდებობა (რექტორი და დეკანი).

7.4 კვალიფიკაციის გამცემი დაწესებულების ოფიციალური ბეჭედი.

## **8 ინფორმაცია ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ**

მერვე პარაგრაფის ინფორმაცია მოიცავს უმაღლესი განათლების სისტემის აღწერას. მათ შორის უმაღლესი განათლების სტრუქტურას საფეხურების მითითებით (უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს), უმაღლეს სასწავლებელში მიღების ზოგად წესებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპებსა და ინფორმაციას ხარისხის უზრუნველყოფის ან აკრედიტაციის შესახებ. ინფორმაციას მეტი სიცხადისათვის უნდა დაერთოს უმაღლესი განათლების სისტემის სქემა.

მერვე პუნქტში მოცემული ინფორმაციის მომზადება/განახლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

## 2. ძირითადი პრინციპები და ზოგადი სახელმძღვანელო დიპლომის დანართის გამცემთათვის

წინამდებარე ძირითადი პრინციპები და ზოგადი სახელმძღვანელო შემუშავებულია ლაკონური და ეფექტური დიპლომის დანართის მომზადების ხელშესაწყობად. ის არის ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკო/ CEPES -ის სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგი, როდესაც 1997-1998 წლებში განხორციელდა დიპლომის დანართის პილოტირება და შეფასება.

სახელმძღვანელო იძლევა რეკომენდაციებს, რომელიც შეეხება ეფექტური დანართის მომზადების პრინციპებსა და წარმატებულ პრაქტიკას და განმარტებებს, რომელიც შემდგომ დეტალურ რჩევებს აძლევს დიპლომის გამცემ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ყველა დოკუმენტი ხელმისაწვდომია ევროკავშირის წევრი, ასევე ევროპის ეკონომიკური სივრცის ქვეყნების ენაზე და რუსულად. შევსებული დიპლომის დანართის ფორმების ნახვა შესაძლებელია ევროკომისიის

(<http://europa.eu.int/en/comm/dg22>), ევროსაბჭოს (<http://culture.coe.fr>) ან UNESCO/CEPES (<http://www.cepes.ro>) სერვერზე.

დიპლომის დანართის გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს „ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის“ (ლისაბონი 1997) განხორციელებას. მისი ტესტირება განხორციელდა Phare-ს მულტი-ქვეყნების პროექტით „საზღვრებს გარეთ უმაღლესი განათლების დიპლომებისა და კრედიტების აღიარება“.

### ძირითადი პრინციპები:

დიპლომის დანართი დაფუძნებულია ძირითად პრინციპებზე, რომლებიც პატივს სცემს ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ თავისუფლებას. ეს პრინციპები იძლევა შემდგომ განმარტებას ახალი ვერსიის მიზნებსა და ბუნებაზე. დიპლომის დანართი არის:

1. მოქნილი, არაინსტრუქციული დოკუმენტი, რომელსაც შეუძლია ლოკალურ მოთხოვნებთან ადაპტირება. მან შეიძლება შეცვალოს ან დაემატოს არსებულ მიდგომებს. არსებული ტრანსკრიპტები და სხვა განმარტებითი სისტემები შეიძლება ინტეგრირებულ იქნეს დანართში ან ჩანაცვლებული. მკაცრად რეკომენდირებულია, რომ ინფორმაციის თანამიმდევრობა იქნეს დაცული.

2. მექანიზმი, რომელსაც აქვს ეროვნული და საერთაშორისო გამოყენება. ის შემუშავდა საერთაშორისო დონეზე, ისევე როგორც ქვეყნის შიგნით, აღიარების ხელშეწყობის მიზნით. ეს ორივე მიმართულება გაძლიერდა სწრაფად ცვალებადი და კომპლექსური კვალიფიკაციებისა და სტრუქტურის გამო.

3. სისტემა, რომელიც ეხმარება აკადემიურ და პროფესიულ აღიარებას. ის პოტენციურად სასარგებლოა ყველა უსდ-თვის, პროფესიული ორგანოებისათვის, სტუდენტების, დამსაქმებლების, საჯარო ორგანოების, მთავრობებისა და მოქალაქეებისათვის.

4. მიდგომა, რომელიც გამორიცხავს ექვივალენტობასთან დაკავშირებულ პრეტენზიებსა და შეფასებებს, უზრუნველყოფს რა საკმარისი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას და საშუალებას აძლევს მიიღებს თავად შეაფასოს წარმოდგენილი კვალიფიკაცია. ეს არის სისტემა, რომელიც არ იძლევა ავტომატური მიღებისა და აღიარების გარანტიას. ის ხელს უწყობს პროცესს, რომლის დროსაც ავტონომიური ეროვნული ან ლოკალური ორგანოები (აკადემიური, პროფესიული, სამთავრობო და ა.შ) იღებენ გადაწყვეტილებას და ამდენად არ არღვევს გადაწყვეტილების მიღების უფლებას ლოკალურ დონეზე. ის აადვილებს დაშვებისა და აღიარების პროცესს.

5. ინსტრუმენტი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული ყურადღებით. უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის აღიარება უნდა განიხილებოდეს, როგორც

კომპეტენციების, გამოცდილების, ცოდნის შეფასების პროცესი. აღიარების დროს ყურადღება ექცევა „სამართლიანი აღიარებას“ და არა ზუსტი ექვივალენტის დადგენას. დანართის მომხმარებელმა ფოკუსირება უნდა მოახდინოს (იქ სადაც შესაძლებელია) სწავლის შედეგებზე და გადაწყვეტილება მიიღოს მიწოდებული თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის საფუძველზე.

6. სახელმძღვანელო წესების ნაკრები, რომელიც თავს არიდებს მომხმარებლისათვის დამაბნეველ ზედმეტ დეტალიზაციას. ეს მინიმალისტური მიდგომა ითვალისწინებს დანართის გამოცემის ხარჯებს და სადაც შესაძლებელია ინფორმაციის წყაროს დამოწმების რეკომენდაციას იძლევა. მიუხედავად ამისა დიპლომის დანართმა უნდა უზრუნველყოს ყველა აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა, რათა თავიდან ავიცილოთ დამატებითი მონაცემების მოთხოვნა აღიარების პროცესში.

7. დამატება განათლების ორიგინალ დოკუმენტზე. განათლების დოკუმენტი უნდა დარჩეს უცვლელი თავისი მდგომარეობით (თავისი ენით და ფორმით). დიპლომის დანართი კი უნდა დაერთოს ავთენტიკურ დიპლომს. დანართი არ ცვლის დიპლომს. ის გამოიყენება სხვა დოკუმენტებთან ერთად, მათ შორის curriculum vitae და სხვა.

### ზოგადი სახელმძღვანელო წესები

მკაცრად რეკომენდირებულია, რომ დანართი შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. მოკლე განმარტებები (უჯრაში მოცემული დიპლომის დანართის დასაწყისში) არის დიპლომის დანართის ნაწილი და თან უნდა ახლდეს ყოველ შევსებულ დანართს, რათა განუმარტოს მისი არსი ყველა უსდ-ს, მოქალაქეს, დამსაქმებელსა და სხვა პოტენციურ მომხმარებელს

2. უსდ-მა უნდა მისდიონ სტრუქტურასა და ინფორმაციის თანამიმდევრობას, რომელიც ყურადღებით შემოუშავდა და შემოწმდა პილოტირების დროს. ტესტირება გაიარა სხვადასხვა ვერსიამ, რომელიც არ აღმოჩნდა მკაფიო და მომხმარებლისთვის იოლად გასაგები. იმ შემთხვევებში სადაც განყოფილება საერთოდ არ იქნა შევსებული, დანართი ჩაითვალოს არაეფექტურად. დანართის შევსებას სჭირდება დიდი ყურადღება, რათა თავიდან ავიცილოთ გაურკვეველი, ნაკლული ან დამაბნეველი ინფორმაცია. ძალიან დიდი მოცულობისა და გართულებული დიპლომის დანართები უნდა ავიცილოთ თავიდან. ის აღიზიანებს მათ მიმღებებს. თავი აარიდეთ გადატვირთულ ინფორმაციას და ჩამოაყალიბეთ ინფორმაცია ლაკონურად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.


3. დიპლომთან ერთად დანართმა უნდა წარმოადგინოს საკმარისი ინფორმაცია, რათა საშუალება მისცეს მკითხველს მიიღოს გადაწყვეტილება კვალიფიკაციის შესახებ, შეესაბამება ის იმ მიზნებს, რომელსთ ვისაც სჭირდება მის მფლობელს (მაგალითად, დაშვება აკადემიურ პროგრამაზე, პროგრამის ნაწილზე შერავათების მიღება, დასაქმება/პროფესიით პრაქტიკის განხორციელების უფლება და ა.შ). ის არ ცვლის ბიოგრაფიას (curriculum vitae), მაგრამ იძლევა დამატებით ინფორმაციას.

4. დანართს ყოველთვის თან უნდა ახლდეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. ცალკე დანართი არაა ვალიდური. დიპლომის დანართის არსებობა არაა გარანტია ინსტიტუტის სტატუსის, მის მიერ გაცემული ხარისხის ან ის წარმოადგენს განათლების სისტემის ნაწილს. თუმცა ყველა ეს ინფორმაცია მოცემულია დანართში.

5. კვალიფიკაციის სახელი და სტატუსი, უსდ-ს სახელი და სტატუსი და მინიჭებული კვალიფიკაციის კლასიფიცირება დანართში ყოველთვის უნდა ჩაიწეროს ორიგინალის ენაზე. არაკორექტულ თარგმანს შეცდომაში შეყავს ისინი, ვინც იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის შესახებ. ტრანსლიტერაცია დაშვებულია იმ შემთხვევაში თუ შრიფტი განსხვავებულია ლათინური ანბანისაგან. შესაძლებელი უნდა იყოს კვალიფიკაციის სახელის კავშირის დადგენა დიპლომის დანართის მერვე პუნქტში აღწერილ უმაღლესი განათლების სისტემასთან.

6. დანართი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი შეფასებებისაგან ან წინადადებებისაგან აღიარების შესახებ. ინფორმაცია ყველა 8 პარაგრაფში უნდა შეივსოს. სადაც ინფორმაცია არაა მოცემული უნდა განიმარტოს რატომ.
7. დიპლომის დანართის გაცემა უნდა განხორციელდეს ცენტრალურად და არა უსდ-ს სხვადასხვა ნაწილების მიერ. ეს ამცირებს დანახარჯებს და მინიმუმამდე დაყავს ვარიაციები შინაარსსა და მიდგომებთან დაკავშირებით.
8. უსდ-მა შესაბამისი ზომები უნდა გაატარონ რათა თავიდან აიცილონ დანართის გაყალბება.
9. ინფორმაცია უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ (მერვე პუნქტი) უნდა იყოს მაქსიმუმ 2 გვერდი. სადაც შესაძლებელია ინფორმაცია უნდა მოიცავდეს დიაგრამას და სქემას მეტი სიცხადისათვის. როგორც პილოტური დანართის პროექტის გაგრძელება, ეს ინფორმაცია უნდა მომზადდეს და გავრცელდეს ეროვნული საინფორმაციო ცენტრების, სამინისტროებისა და რექტორთა კონფერენციების დახმარებით.
10. უკეთესია თუ დანართი გაიცემა ავტომატურად პროგრამის დასრულების დროს. ვინაიდან პროგრამები და დიპლომები ექვემდებარება მუდმივ ევოლუციასა და ცვლილებას. **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დანართის მერვე პუნქტმა აღწეროს უმაღლესი განათლების სტრუქტურა იმ პერიოდისათვის, როდესაც კვალიფიკაცია იქნა მინიჭებული.**
11. დიდი სიფრთხილეა საჭირო თარგმანთან და ტერმინოლოგიასთან, ვინაიდან ამ მიმართულებით ბევრი პრობლემა არსებობს. ამის დამლევის მიზნით, არსებითია ორიგინალის ენის გამოყენება იქ, სადაც ეს მითითებულია. დამატებით, ლინგვისტური დაბნეულობის თავიდან აცილების მიზნით, მომზადდა ტერმინთა ლექსიკონი. დანართის მომზადება შესაძლებელია ნებისმიერ ენაზე, რომელსაც უსდ ჩათვლის შესაბამისად.
12. იქ სადაც ის არსებობს, ინსტიტუციური, რეგიონული და ნაციონალური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებმა დიპლომის დანართი უნდა ჩართოს თავის აქტივობებში. ეს დაეხმარება დანართის ხარისხიან წარმოებას.
13. დანართი შემუშავდა ისე, რომ იგი გამოყენებულ უნდა იქნეს დაკვირვებით. სხვა ქვეყნის კვალიფიკაციის შეფასება კონცენტრირებული უნდა იყოს კომპეტენციებზე, გამოცდებზე და ცოდნაზე. სამართლიან აღიარებაზე და არა აბსოლუტური ექვივალენტის დადგენაზე.

### 3. დიპლომის დანართის ნიმუში



ლოგო

## ღია უნივერსიტეტი

#999 999  
დიპლომის დანართი

დიპლომის დანართის ეს მოდელი დამუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ. დანართის მიზანია მიაწოდოს დასაბუთებული მიუკერძოებელი მონაცემები საერთაშორისო „გამჭვირვალობის“ გასაუმჯობესებლად და კვალიფიკაციების (დიპლომების, ხარისხების, სერტიფიკატების და ა.შ) აკადემიური და პროფესიული ცნობის დასაზუსტებლად. მისი მიზანია, აღწეროს დასახელებული პირის მიერ ამ დანართის შესაბამის ორიგინალურ კვალიფიკაციაში გავლილი და წარმატებით დასრულებული სასწავლო პროგრამის ხასიათი, დონე, კონტექსტი, შინაარსი და სტატუსი. აღწერა თავისუფალი უნდა იყოს რაიმე შეფასებითი დასკვნებისაგან, ეკვივალენტობის მტკიცებისა ან აღიარების შესახებ შეთავაზებისაგან. ინფორმაცია უნდა შეივსოს რვავე პარაგრაფში. თუ ინფორმაცია არ არის მოცემული, საჭიროა განიმარტოს მიზეზი.

1. კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
  - 1.1 გვარი: აააააააააააააა
  - 1.2 სახელი(ებ): ბბბბბბ
  - 1.3 დაბადების თარიღი: (დღე/თვე/წელი): 30 ივნისი 1985 წელი
  - 1.4 სტუდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (თუ არსებობს): პირადი ნომერი 999 999 999
  
2. კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
  - 2.1 კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):  
საინჟინრო საქმის ბაკალავრი
  - 2.2 კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ): სამოქალაქო მშენებლობა
  - 2.3 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე):  
ღია უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აკრედიტებულია განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ 2009 წელს.
  - 2.4 იმ დაწესებულების (თუ განსხვავდება 2.3-სგან) დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე), რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი: შესაბამისი ინფორმაცია არ არსებობს.
  - 2.5 სწავლების/გამოცდის ენა (ენები): ქართული
  
3. ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ
  - 3.1 კვალიფიკაციის დონე: უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ბაკალავრიატი
  - 3.2 პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა: 240 კრედიტი, 4 წელი
  - 3.3 მიღების მოთხოვნები: სრული ზოგადი განათლების ატესტატი
  
4. ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
  - 4.1 სწავლების ფორმა: დღის დასწრებული\*

\* „დღის დასწრებული“ - ეს ტერმინი პრაქტიკაშია დამკვიდრებულია, თუმცა მისი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. რეალურად ის აღნიშნავს სტუდენტის სრული დატვირთვით სწავლას -Full time



**4.2 პროგრამის მოთხოვნები:**

პროგრამა მოითხოვს 10 კრედიტიან საბაკალავრო ნაშრომს და 10 კრედიტიან სასწავლო პრაქტიკას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები:

დარგობრივი კომპეტენციები:

- გამოყენებითი მათემატიკის მეთოდების ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- კონსტრუქციული სისტემების, მისის კომპონენტების გაანგარიშების/კონსტრუირების უნარი;
- საინჟინრო/სამშენებლო პრაქტიკისათვის საუცილებელი თანამედროვე მეთოდოლოგიებისა, მათ შორის IT ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- სამშენებლო/საინჟინრო პრობლემების გააზრების, ფორმულირებისა და გადაჭრის უნარი;
- ტექნიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაგება და სამშენებლო სამუშაოების გარემოსათვის უვნებლათ წარმართვის უნარი;
- ექსპერიმენტების, საველე და ლაბორატორიული სამუშაოების დაგეგმვის, ჩატარების და ანალიზის და მიღებული მონაცემების ინტერპრეტირების უნარი;
- სამოქალაქო ინჟინრის პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის ცოდნა და გათავისება.

ზოგადი კომპეტენციები

- ანალიზისა და სინთეზის უნარი
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- კომუნიკაციის უნარი
- ჯგუფური მუშაობის უნარი

**4.3 პროგრამის დეტალები: (მაგ. შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/ შეფასებები/ კრედიტები: (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი))**

კოდი*	სასწავლო კურსი/მოდული	სემესტრი*	ქულა	კრედიტი
CE001	გამოყენებითი მათემატიკა	I,II, III	90	20
CE 002	მექანიკა	I,II,III	95	20
E001/02	ინგლისური	I,II,	85	20
CE003	სამშენებლო კონსტრუქციები	II,III	96	20
CE004	კომპიუტერული საინჟინრო ტექნოლოგიები	I,II,III, IV	100	20
CE005	ხაზვა	II,III, IV	92	15
CE006	მხაზველობითი გეომეტრია	III, IV	94	15
CE007	მასალათმცოდნეობა		90	20
CE008	საინჟინრო გეოდეზია		93	20
CE009	მშენებლობის მენეჯმენტი		95	15
CE010	სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის ისტორია	II,III,	95	10
CE011	გარემოსდაცვა და შრომისუსაფრთხოება		90	10
CE012	შენობების აღჭურვა		90	15
	პრაქტიკა		90	10
	საბაკალავრო ნაშრომი		95	10
				240

**4.4 შეფასებების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია:**

\* კოდი და სემესტრი სავალდებულო არაა. შესაძლებელია მოდულის ჩამონათვალის გაკეთება სემესტრების ან აკადემიური წლების მიხედვით. უსდ-მ თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება დაუმატოს სხვა მონაცემებიც, რათა უფრო თვალსაჩინო გახადოს სტუდენტის მიღწევები. მაგალითად, გააკეთოს რანჟირება. ამასთან, უნდა ახსნას რანჟირების წესი. ან გამოიყვანოს საშუალო ქულა.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 90%-ზე მეტი;
- ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;
- გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების (71%-80%);
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;
- ე) (E) საკმარისი -მაქსიმალური შეფასების 51%-60:

#### 4.5 კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია (ორიგინალის ენაზე): წარჩინებით\*

#### 5. ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ

**5.1 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე:** უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაში.

**5.2 პროფესიული სტატუსი (თუ ასეთი არსებობს):** არ არსებობს. საინჟინრო საქმე არაა რეგულირებადი.

#### 6. დამატებითი ინფორმაცია

##### 6.1 დამატებითი ინფორმაცია:

სტუდენტმა პრაქტიკა გაიარა xxx კომპანიაში. პრაქტიკის დროს ასრულებდა შემდეგ ფუნქციებს -----  
სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო 2008 წელს საუნივერსიტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც წარადგინა მოხსენება „-----“

##### 6.2 დამატებითი ინფორმაციის წყაროები:

დამატებითი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ შეიძლება მიიღოს უსდ-ს ვებგვერდზე [www.openuni.edu.ge](http://www.openuni.edu.ge)

#### 7. დანართის დამოწმება

- 7.1 თარიღი: XX.XX.XXXX
- 7.2 ხელმოწერა: XXXXXXXXX YYYYYYYYY
- 7.3 თანამდებობა: რექტორი დეკანი
- 7.4 ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი:

#### 8. ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ<sup>3</sup>

8.1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების წესები:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების (2009 წლიდან - 12 წელი) მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები, დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამაზე (ქვესაფეხური პირველი საფეხურის ფარგლებში) - მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტი.

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

\* აქ შესაძლებელია ჩაიწეროს საშულო ქულიდან გამომდინარე შეფასება - ფრიადი.

<sup>3</sup> ინფორმაცია მოცემულია 2010 წლის მდგომარეობით

## 8.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

2009 წლიდან საქართველოში არსებობს შემდეგი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:  
**კოლეჯი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ბაკალავრიატის ფარგლებში არსებული დიპლომირებული სპეციალისტი პროგრამას ან/და მხოლოდ პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას;

**სასწავლო უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებს. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

**უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

## 8.3. კვალიფიკაციების სტრუქტურა

2005 წლიდან საქართველოში შემოღებულ იქნა სამსაფეხურიანი სისტემა. ამ სისტემაზე სრული გადასვლა განხორციელდა 2009-2010 სასწავლო წლიდან (მედიცინის, სტომატოლოგიის და ვეტერინარიის გარდა). უმაღლესი განათლების საფეხურებია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. უმაღლესი განათლების საფეხურის დასამთავრებლად აუცილებელია შესაბამისი რაოდენობის კრედიტების დაგროვება.

პირველი საფეხური: ბაკალავრიატი - 240 კრედიტი

- 2007 წლიდან პირველის საფეხურის ფარგლებში არსებობს დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა 120-180 კრედიტით. დიპლომირებული სპეციალისტი უფლებამოსილია, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე, სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაძლებელია დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამაზე დაგროვილი კრედიტების აღიარება.

მეორე საფეხური: მაგისტრატურა - 120 კრედიტი

მესამე საფეხური: დოქტორანტურა - 180 კრედიტი

სამედიცინო (დიპლომირებული მედიკოსი -360 კრედიტი), სტომატოლოგიური (დიპლომირებული სტომატოლოგი -300 კრედიტი) და ვეტერინარული (დიპლომირებული ვეტერინარი - 300 კრედიტი) განათლება არის ერთსაფეხურიანი ინტეგრირებული განათლება და თავისი სწავლის შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს.

## 8.4. ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით. გარე ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის მეშვეობით ([www.nea.ge](http://www.nea.ge))

## 8.5. შეფასების სისტემა

ეროვნულ დონეზე არსებობს შეფასების 100 ქულიანი სისტემა.

## 8.6. ინფორმაციის ეროვნული წყარო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
 მისამართი: დ. უზნაძის ქ. 52, თბილისი, 0102


www.mes.gov.ge  
ელფოსტა: pr@mes.gov.ge

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი  
მისამართი: დ. უზნაძის ქ. 68; თბილისი, 0102  
www.nea.ge  
ელფოსტა: info@nea.ge

### უმაღლესი განათლების სისტემა

#### უმაღლესი განათლების საფეხურები

#### დაწესებულებები



#### 4. ლექსიკონი

ტერმინების დეფინიციები და გამოყენება განსხვავდება ქვეყნებს შორის. გაუგებრობების შემცირების მიზნით ეს ლექსიკონი ცდილობს განმარტოს მხოლოდ ძირითადი ტერმინები, რომლებიც მოცემულია დიპლომის დანართის ინიციატივასთან ასოცირებულ დოკუმენტებში. ტერმინები ნაწილობრივ დაფუძნებულია და ძირითადად შესაბამისობაშია 1997 წლის ლისაბონის აღიარების კონვენციასთან.

**აკადემიური აღიარება (ACADEMIC RECOGNITION)** შეეხება ერთი უმაღლესი სასწავლებლის მიერ მეორე უმაღლესი სასწავლებლის (იმავე ან უცხო ქვეყნის) კურსის, კვალიფიკაციის ან დიპლომის აღიარებას. ჩვეულებრივად ეს არის საფუძველი მეორე უსდ-ში **შემდგომ** ახალ პროგრამაზე სწავლისათვის (კუმულაციური აღიარება) ან აღიარება, რომელიც აძლევს გარკვეულ შედეგებს პროგრამის ელემენტების ხელახალი შესწავლისგან. აკადემიური აღიარების შემდგომ ტიპს წარმოადგენს სხვა უსდში განხორციელებული სწავლის აღიარება (ჩანაცვლების აღიარება), რომელიც ანაცვლებს შესაბამის პერიოდს მშობლიურ უსდ-ში (ასევე ნახეთ პროფესიული აღიარება).

**დაშვება (ACCESS)** (უმაღლეს განათლებაში) კვალიფიციური კანდიდატის უფლება გააკეთოს განაცხადი და განიხილულ იქნეს უსდ-ში დასაშვებად. დაშვება განსხვავდება მიღებისაგან, რომელიც შეეხება ინდივიდის რეალურ მონაწილეობას უმაღლესი განათლების პროგრამაში.

**აკრედიტაცია (ACCREDITATION)** არის პროცესი, რომლის დროსაც უსდ იღებს კვალიფიკაციის მინიჭების უფლებას და/ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს [ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო, სამთავრობო ორგანო, სხვა ეროვნული ან უცხოური უსდ (ფრანჩიზი)] მიერ მისი კვალიფიკაციის აღიარების უფლებას. ტერმინი ამერიკული სისტემიდანაა და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში გამოიყენება როგორც აღიარება.

**მიღება (ADMISSION)** აქტი ან სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს კვალიფიციურ აპლიკანტს ისწავლოს მოცემულ უსდში და/ან მოცემულ პროგრამაზე.

**შეფასება (ASSESSMENT)** i) (ინსტიტუციის ან პროგრამის) უსდ-ს ან პროგრამის ხარისხის დადგენის პროცესი; ii) (კვალიფიკაციის) კომპეტენტური ორგანოს წერილობითი დასკვნა ან შეფასება ინდივიდის უცხოური კვალიფიკაციის შესახებ iii) (სტუდენტის) პროგრამის ფარგლებში სტუდენტის ცოდნისა და უნარების შემოწმება (მაგ., გამოცდა).

**მინიჭება (ხარისხის) (AWARD)** გამოიყენება კვალიფიკაციის სინონიმად.

**აღიარების კომპეტენტური ორგანო (COMPETENT RECOGNITION AUTHORITY)** ორგანო, რომელიც ოფიციალურად პასუხისმგებელია უცხო ქვეყანაში მიღებული კვალიფიკაციების აღიარებაზე.

**სასწავლო კურსი (COURSE)** საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებელი ნაწილი, რომელიც ცალკე ფასდება. საგანმანათლებლო პროგრამა როგორც წესი რამდენიმე კურსისაგან შედგება.

**განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი /ოფიციალური დოკუმენტი (CREDENTIAL)** ეს ტერმინი ხანდახან გამოიყენება კვალიფიკაციასთან მიმართებაში (იხ. კვალიფიკაცია).

**განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემფასებელი (CREDENTIAL EVALUATOR)** პირი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას უცხოური კვალიფიკაციის აღიარებაზე (იხ. აღიარების კომპეტენტური ორგანო).

**კრედიტი (CREDIT)** „ვალუტა“, გარკვეულ დროში მიღწეული სწავლის შედეგების საზომი. ჩვეულებრივად ასოცირებულია კრედიტებზე დაფუძნებულ მოდულარულ კურსებთან (იხ. ECTS).

**დეფაქტო აღიარება (DE FACTO RECOGNITION)** შეეხება პროფესიული მიზნებისათვის არარეგულირებად აღიარებას, როდესაც არ არსებობს ან არ მოითხოვება ეროვნული ლეგალური ავტორიზაცია/უფლების მინიჭება კონკრეტულ პროფესიაში პრაქტიკის განხორციელებაზე. ეს არის პროფესიული აღიარების ყველაზე პრობლემატური სფერო (იხ. პროფესიული აღიარება და აღიარება)

**დე იურე აღიარება (DE JURE RECOGNITION)** შეეხება კონკრეტულ ქვეყანაში რეგულირებადი სპეციალობით მუშობის უფლების აღიარებას (მაგ. ექიმი ევროკავშირსა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ქვეყნებში) ეს სიტუაცია. არის ევროკავშირის სხვადასხვა დირექტივების საგანი. თუ წევრი ქვეყნის მოქალაქე არის კვალიფიციური პროფესიონალი, მას უფლება აქვს იმუშაოს ამ პროფესიით და აღიარებულ იქნას როგორც პროფესიონალი მეორე წევრ ქვეყანაში (იხ. რეგულირებადი პროფესია, პროფესიული აღიარება და აღიარება).

**დიპლომი (DIPLOMA)** ამ შემთხვევაში მოხსენიებულია როგორც ფორმალურად მინიჭებული კვალიფიკაცია/ ფორმალური დოკუმენტი. ზოგიერთ საგანმანათლებლო სისტემებში ეს ტერმინი შეეხება სპეციფიკური კატეგორიის ან ტიპის კვალიფიკაციას. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ შეზღუდული გაგებით.

**ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS)** შემუშავდა ევროკომისიის მიერ. დაფუძნებულია კრედიტებზე (სტუდენტის დატვირთვაზე), შემუშავებულია მობილობის ხელშესაწყობად, კრედიტის დაგროვებისა და ტრანსფერისათვის და სწავლის პერიოდების აღიარებისათვის.

**საინფორმაციო ცენტრი (ENIC)** ევროპის ეროვნული საინფორმაციო ცენტრები აკადემიური აღიარებისა და მობილობისათვის (ევროსაბჭო/UNESCO).

**ფრანჩიზი (FRANCHISE)** სიტუაცია, როდესაც ერთი უსდ უფლებას აძლევს (ავტორიზაცია) მეორე უსდ-ს (ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე) განახორციელოს დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა და ამავდროულად შეინარჩუნოს კონტროლი პროგრამის შინაარსზე, სწავლებაზე, შეფასებასა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი ვარიაციები ფრანჩაიზულ ურთიერთობებში.

**სწავლის სფერო (FIELD OF STUDY)** კვალიფიკაციის ძირითადი დისციპლინა ან დარგი.

**უმაღლესი განათლება HIGHER EDUCATION** საშუალოს შემდგომი განათლების ყველა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამა, ტრენინგი ან ტრენინგი კვლევებისათვის, რომელიც აღიარებულია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, როგორც მისი უმაღლესი განათლების სისტემა. უმაღლესი განათლება ეფუძნება საშუალო სკოლაში მიღებულ კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს (იხ. უსდ და საგანმანათლებლო პროგრამა). უმაღლესი განათლება ხორციელდება ზოგად განათლების შემდეგ უსდ-ის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-მ შეიძლება განახორციელოს კურსები, რომელიც არაა უმაღლესი განათლების დონის და პირიქით ინსტიტუციამ, რომელიც არ მიეკუთვნება უმაღლესი განათლების სისტემას, შეიძლება განახორციელოს ზოგიერთი პროგრამა. უმაღლესი განათლებისა და უსდ-ს დეფინიციები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, საექთნო საქმე ზოგიერთ ქვეყანაში განიხილება, როგორც უმაღლესი განათლება, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კი საშუალოს შემდგომ განათლებად, რომელიც არაა უმაღლესი განათლება.

**უსდ (HIGHER EDUCATION INSTITUTION)** უმაღლესი განათლების განმახორციელებელი დაწესებულება, რომელიც აღიარებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ, როგორც მისი უმაღლესი განათლების სისტემის ნაწილი (იხ. უმაღლესი განათლება და საგანმანათლებლო პროგრამა).

**სწავლის შედეგები (LEARNING OUTCOMES)** სპეციფიკური ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარები, რომელიც მიღებულია და შემოწმებულია ერთეულის, კურსის ან საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებით.

**დონე (LEVEL)** კვალიფიკაციის ადგილი უმაღლესი განათლების სისტემაში. ჩვეულებრივად, არსებობს კვალიფიკაციების ეროვნული იერარქია. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის დონეების რაოდენობა განსხვავდება ქვეყნებს და/ან იმაღლესი განათლების ტიპებს შორის (იხ. დონის ინდიკატორები).

**დონის ინდიკატორები (LEVEL INDICATORS)** ეს შეეხება როგორც კვალიფიკაციის როლის შესახებ ზოგადი ინფორმაციას ასევე უაღრესად დეტალურ განცხადებას კვალიფიკაციის ბუნების, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ, რომლებიც ასოცირებულია კვალიფიკაციის ან მისი ნაწილის წარმატებით დასრულებასთან (იხ. დონე).

**ლისაბონის აღიარების კონვენცია (LISBON RECOGNITION CONVENTION)** არის ევროსაბჭოს /იუნესკოს კონვენცია „ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1997 წელს ლისაბონში<sup>4</sup>.

**მოდული) MODULE)** სწავლის განცალკევებული და თანამინდევრული ბლოკი. მოდულარიზებული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი, სადაც კურიკულუმი დაყოფილია თანაბარი ზომის სეგმენტებად.

**აკადემიური აღიარების ნაციონალური საინფორმაციო ცენტრი (NARIC)** - საინფორმაციო ცენტრები ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ქვეყნებში. ზოგიერთი NARIC-ი ასევე პასუხისმგებელია პროფესიულ აღიარებაზე.

**პროფესიული აღიარება (PROFESSIONAL RECOGNITION)** იმუშაო შესაბამისი პროფესიით და ატარო პროფესიული სტატუსი, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი კვალიფიკაციის მფლობელისათვის. ევროკავშირში აღიარება პროფესიული მიზნებისათვის განსაზღვრულია სამართლებრივი აქტით, რომლის თანახმადაც ერთი წევრის ქვეყანა აღიარებს მეორე წევრ ქვეყანაში მიღებულ კვალიფიკაციას, რომელიც შეეფერება მის ტერიტორიაზე პროფესიული საქმიანობის განხორციელებას და სამართლებრივად რეგულირებადია (იხ რეგულირებადი პროფესია, დეიურე აღიარება, დეფაქტო აღიარება და აღიარება).

**საგანმანათლებლო პროგრამა (PROGRAMME OF STUDY)** კურსების ნაკრები, რომელთა სხვადასხვა კომპონენტები ავსებენ ერთმანეთს, რათა უზრუნველყონ სტუდენტი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით (იხ. უმაღლესი განათლება, უსდ, და კურსი). „პროგრამა“ ასევე აღნიშნავს აკადემიური სწავლის სფეროს და მოთხოვნებს, რომელიც ერთობლივად განსაზღვრავენ (იხ. სწავლის სფერო).

**კვალიფიკაცია (QUALIFICATION)** i) უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია: კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი ხარისხი, დიპლომი ან სხვა სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს უმაღლესი განათლების პროგრამის წარმატებით დასრულებას; ii) უმაღლესი განათლებაში დასაშვებად საჭირო კვალიფიკაცია: კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი დიპლომი ან სხვა სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს განათლების პროგრამის წარმატებით დასრულებას და მის მფლობელს აძლევს უსდ-ში მიღების უფლებას (იხ. უმაღლესი განათლება, უსდ და საგანმანათლებლო პროგრამა). ტერმინი ასევე გამოიყენება, როგორც უმაღლესი განათლების ნებისმიერი ჯილდო, რომელიც მიენიჭა პროგრამის დასრულების შემდეგ. ზოგადი ტერმინი, რომელიც უკავშირდება უმაღლესის მრავალფეროვან კვალიფიკაციებს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ქვეყანაში..

**ხარისხის უზრუნველყოფა (QUALITY ASSURANCE)** შიდა და გარე პროცესი, რომლითაც ხდება აკადემიური მდგომარეობის შენარჩუნება.

**აღიარება/ცნობა (RECOGNITION)** კომპეტენტური ორგანოს მიერ უცხოური კვალიფიკაციის ღირებულების ფორმალური დადასტურება, რომლის მიზანია განათლებაზე დაშვება და/ან დასაქმება. ინდივიდუალური კვალიფიკაციის შეფასება. ეს შეფასება შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის განაცხადი უცხოური კვალიფიკაციის ღირებულების შესახებ. აღიარება არის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაკეთებული ფორმალური განაცხადი, რაც ადასტურებს კონკრეტული კვალიფიკაციის ღირებულებას და მიუთითებს ამ აღიარების შედეგებს კვალიფიკაციის მფლობელისათვის. მაგალითად, კვალიფიკაცია შეიძლება აღიარებულ იქნეს მოცემულ დონეზე სწავლის შემდგომი გაგრძელების მიზნებისათვის (აკადემიური აღიარება) ან წოდების გამოყენებისათვის ან დასაქმების მიზნებისათვის (პროფესიული აღიარება) (იხ. კომპეტენტური აღიარების ორგანო, კვალიფიკაცია, აკადემიური აღიარება და პროფესიული აღიარება). აღიარება ასევე მოიხსენიება უსდ-ს აკრედიტაციისას სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ (იხ. აკრედიტაცია).

**რეგულირებადი პროფესიები (REGULATED PROFESSION)** პროფესია, რომლის პრაქტიკაც რეგულირდება კანონით ან ადმინისტრაციული წესებით. მოცემული პროფესია შეიძლება

<sup>4</sup> კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს.

რეგულირდებოდეს ერთი ქვეყნის მიერ და არ რეგულირდებოდეს მეორე ქვეყანაში (იხ. დეიურე აღიარება).

**ნიშნების ფურცელი (TRANSCRIPT)** სტუდენტის პროგრესისა და მიღწევების ოფიციალური ჩანაწერი. კრედიტზე დაფუძნებული განათლების სისტემა იყენებს ნიშნების ფურცელს, რომელიც აჩვენებს ნიშანს და კრედიტს თითოეული განხორციელებული სასწავლო ერთეულისათვის/კურსისათვის (მაგ., ECTS-ის ნიშნების ფურცელი).

**ვალიდაცია (VALIDATION)** პროცესი, რომლის დროსაც აღიარებული, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უსდ იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხი და სტანდარტის შესაბამისობის შესახებ. პროგრამა შეიძლება იყოს მისი ან მას დაქვემდებარებული ინსტიტუციის.